572
1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—5965

ფილკა

1990 წ, სექტემბერი № 9

წელს, სექტემბერში, 110 წელი ხდება დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის დაბადებიდან. ვბეჭდავთ მის ცნობილ მინიატურას «გული».

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული

ნიკო ლორთქიფანიძე

მოკვდა.

დის ნაზ ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი; იდუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს; ნაცნობებს არ მოუკითხავთ; უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდ, წყნარ ადამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება მაინც უნდოდა; დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები.

მოკვდა უცხოეთში.

— ათასი სნეულებით იყო ავად, არავითარმა წამალმა არ იმოქმედა, — იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.

ცხედარი გაჭრეს.

პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

— შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!

ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— ბატონებო, გული, გული სადღაა?

გულის მაგიერ ფერფლიღა დარჩენილიყო.

დეპეშით გაგებული უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა შევიდა საყვარელი შვილის ობლად დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: ასე გამომიმეტე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული, ამდენის ვაითა და უით რომ ჩაგიდგი საგულეში?

კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:

— მე დავაჭკნე!

— მე დავწვი! — გახმაურდა სურათი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია.

მხატვარი **ზაურ დეისაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა მიდის სკოლაში

ნესტან კუპრავა

ანაბანა, ანაბანა,
დედამ წიგნი მომიტანა.
იაკობის „დედაენა“,
საქართველოს მზე და რწმენა.
— მუდამ გქონდეს ამ დღის ხსოვნა! —
კოხტა ჩანთა მისახსოვრა.
შემომცინის ბებო ანა:
— ბიჭი უნდა შენისთანა!
სკოლისაკენ მაცილებენ
გოგა,
კობა,
თაკო,
ლელა,
მოსწავლე რომ გავხდი უკვე,
უხარია ყველას, ყველას.
— აბა, შვილო, გვასახელე! —
დედიკონა მკოცნის ტკბილად.
— ეოჩაღე! იბეჯითე!
არ გაგვხადო განაწბილად!
ჩემი ქვეყნის მზე დამნათის,
ოქროსფერი სხივით მლოცავს:
— ასახელე საქართველო,
დიდი ბიჭი გახდე როცა!
სკოლისაკენ მაცილებენ
საქართველოს ლურჯი მთები.
მშობელ მიწის სიყვარულმა
გამომასხას ლამის ფრთები.
სულ ხუთებზე შევისწავლი
ჩემი ხალხის ანაბანას.
საქართველოს ვათქმევინებ:
— ეოჩაღ, ქართველს ამისთანას!

19.324

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გამზეურება

ავთანდილ ადეიშვილი

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

ბოლშევიკებმა და ფაშისტებმა ერთმანეთში ომი რომ გამართეს, პაპაჩემი შვიდი-რვა წლის იქნებოდა. პაპას გონათლივ ახსოვს, იმ დროს როგორ ყმუოდა სოფელი და ქალაქი, ღამღამობით როგორ აბნელებდნენ ქუჩებსა და სახლებს, ვაი, იმის ბრალი, ვისაც დაგმანული ფანჯრიდან სინათლის სხივი გამოეპარებოდა. იქით ფაშისტების ეშინოდათ, აქეთ — ბოლშევიკების.

ბავშვებო, მე პაპაჩემმა ნათლივ ამიხსნა, ვინ იყვნენ ბოლშევიკები, ისინი ხალხის ის ნაწილია, რომლებიც არად აგდებენ ქართველებისა და სხვა ერების წეს-ჩვეულებებს, მაგათი ზნე ასეთია, ყველამ ერთი კაცის ჭკუაზე უნდა იაროს.

ფაშისტებიც თითქმის ბოლშევიკების სანამყენეზე ამოიყარნენ. მათაც დიდი სურვილი ჰქონდათ, ყველა ხალხი გერმანელების მონა-მორჩილი გამხდარიყო.

ამ ბოლშევიკებსა და ფაშისტებს წინამძღოლად ლენინი, სტალინი და ჰიტლერი ჰყავდათ, ვინც მათ წინ აღუდგებოდა, სიმართლეს იტყოდა, ხალხის მტრად აცხადებდნენ. აი, ამ საკენკით გაბოროტებულებს დაახოცვინეს უამრავი მართალი და პირშიმთქმელი.

იმჟამად საქართველო დაიმშა, ხალხი გაბოროტდა, ტვინი გადაენისლა და დაერივნენ ნათესავსა და მოძმეს. ადრე ასე არ იყო, საქართველო კაი ყმითა და კაი პატრონით ცხოვრობდა. კაი ყმა დოვლათს ქმნიდა, კაი პატრონი საქართველოს სამანებს იცავდა. ეჰ, შეცდა კაი პატრონი და ჩვენი თავი ჯერ 1801-ში და ახლა 1921-ში რუსის ჩექმის ქვეშ მოაქცია. მე-19 საუკუნეში ღმერთკაცი ილია ჭავჭავაძე გამოგვიჩნდა, გვიქადაგებდა მდიდარსა და ღარიბ ქართველს ერთმანეთი გიყვარდეთ, მდიდარმა ღარიბი გაამდიდროს, თქვენი ქვეყნისა და საკუთარი თავის გამგებელი თქვენ იყავითო, მაგრამ ვინ

დაუჯერა, აჭყვნენ ბოლშევიკებს, ღარიბმა მდიდარი უნდა მოსპოს, თუ უნდა, რომ შეძლებული გახდესო, და აი, ამ გონდასეტყვილებმა მოგვიკლეს ბრძენი ილია.

დავრჩით ასე მარტონი.

ერთი-ორი წელი — 1918 წლიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე — ასე თუ ისე დამოუკიდებელნი ვყოფილვართ, ამბობს პაპაჩემი...

კიდევ ერთხელ მოკლეს ჩვენი საქართველოს თავისუფლება, მაგრამ მტერმა უნდა იცოდეს, შვილო, რომ უკვდავი არა კვდება. ბოლშევიკებმა გაგვიპარტახეს საქართველოს მიწა-წყალი, დაგვინგრიეს ეკლესიები, გაგვინადგურეს სალოცავი ხატები, გულიდან აგვაგლიჯეს სახარება. მალვითღა გვიკითხავდნენ ბებიები და ბაბუები. ეჰ, ხალხმა დაკარგა სახარების შეცნობის უნარი.

— რატომ, პაპა, მე ხომ შეცნობილი მაქვს სახარება, — პაპას ჩავეჭერი საუბარში.

— ამ ხნის კაცი, მე ვერ ჩავღრმავდი სახარების სიბრძნეში და, ერთი ეს გამაგებინე, შენ ეს როგორ შესძელი, — ღიმდაფენილი შემეკითხა პაპაჩემი.

— პაპი, ამ ზაფხულს, სოფელში რომ გამგზავნე, ერთხელ ჩხუბს შევესწარი, ოყლაყა ვანუა ყარაულმა ჩახსეინაანთ გუგულა ვაშლის ბაღში ქურდობაზე დაიჭირა, დააწვინა და წკეპლით უნდა აეჭრელებინა მისთვის ზურგი. მე ოყლაყა ვანუასთან მივედი, წამით შევაჩერე და ვუთხარი, სანამ გუგულას გაროზგავ, ერთი უნდა შეგეკითხო-მეთქი. ოყლაყა ვანუამ წარბი აჭიმა და სიტყვა ლამის წკეპლასავით გადამიჭირა: შემეკითხეო!

მეც შევეკითხე: — ძია ვანო, ბავშვობაში ხილი თუ მოგიპარავს?

ოყლაყა ვანუამ ცივად ხელი უშვა გუგულას, წკეპლა მოისროლა და გუგულა უვნებელი გაუშვა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ, ოყლაყა ვანუამ მკითხა, ბალღო, ეგ სიბრძნე მაგ გონების ჭურჭლიდან დაგისხლტა, თუ იგავი მოიშველიეო? მე ჩამეცინა და ვუპასუხე, ეს და უფრო კარგები სახარებაში წერია-მეთქი! — შენა მაგის მომძებნი და წამკითხველი რანაირად იქნებიო? მე შენზე, პაპი, შენზე ვუთხარი, პაპაჩემი მიკითხავს-მეთქი. პაპაჩემს თვალი აუწყლიანდა, ლოყები შეეფაკლა და ღაწვებზე ცრემლი ჩამოუცვარდა. გაახარა სიკეთემ.

პაპაჩემს თვალის უბიდან ცრემლები რო ამოუშრა, ვკითხე, ბავშვობაში ხელი არ წაგცდენია რამეზე, არ მოგიპარავს? შენ ხომ ამბობ, ძალიან გვიჭირდაო.

— კი, შვილო, უსაშველოდ გვიჭირდა, მამაჩემი ქერჩის ფრონტზე გააგზავნეს, სადაც ქართველებს განუკითხავად ხოცავდნენ. დავრჩით მოხუცებული, წელგადრეკილი პაპის ანაბარა. გაჭირვებული და გამწარებული ბერიკაცი ერთი კვირა ყაჩაღადაც კი გავარდა, ბოლშევიკებისა და ფაშისტების ჩხუბში ქართველები რა შუაში არიანო? ბებიაჩემი უკან გამოედევ-



ნა: რას შვრები, ბერიკაცო, შენი ხუშტურების გამო ჩვენ ხომ ხეირს არ დაგვაყრიან, და შვილიშვილებსაც ამოგვიხოცავენო. დააბრუნა პაპაჩემი და ის გიმნაზიადამთავრებული კაცი, ჩვენ რომ შიმშილით არ დავხოცილიყავით, ფაეტონის კოფოზე მეფაიტონედ შემოჯდა და დილიდან საღამომდე იჯარით აყვანილ ცხენებს აჩუ-აჩუ-აჩუს უყიჟინებდა. ერთი ძაღლიც გვყავდა, ალმასას ვეძახდით, იმ შიმშილობის ჟამს ლუკმას ვეღარ ვუწილადებდით, ჭურჭლის ნარეცხით თუ გავიდოდა იოლას. ერთგული იყო. ჩვენი ეზო-კარი არ მიუტოვებია. ბებიაჩემი ყურფხიზლად იყო, ძაღლმა არ დაიყმუვლოს და ვინმემ ტყვია არ აძგეროსო. ალმასა კრიჭაშეკრული იწვა გომურის კართან და ნაჯაფარ ცხენებს ყარაულობდა.

ერთხელ შებინდებისას ალმასა უგულოდ მეთამაშებოდა და გასაქცევად იწევდა, მე გასაქანს არ ვაძლევდი, მერე ამისხლტა ხელიდან. მე ავედევნე. ის ვერ მამჩნევდა, გადადიოდა ღობიდან ღობეზე, ყორიდან — ყორეზე, და ბობოლა აღმასკომის თავმჯდომარის გალავანს მიადგა, შეხტა გალავანზე. გალავნის იქიდან გერმანული ნაგაზების ყეფა ისმოდა. ჩვენმა ალმასამ ერთი შეუბუხუნა და დაადუმა. გადაეშვა ეზოში და მეც მას მივყევი, გაირბინა დიდი საბოსტნე და მარანს მიადგა, დაჭკრა თათი მარნის კარს და შეაღო. მეც შევყევი. მარანი ხილისა და პურის სუნით იყო გაჟღენთილი, ალმასა ჯერ სამფეხა სკამზე შეხტა, მერე იქიდან ძველებურ დაბალ კარადაზე, და ხარიხაზე ჩამოკიდებულ ლორის ნაჭერს მიახტა; ასე იქამდე იმეორებდა, სანამდის ლორის ნაჭერი ხარიხიდან არ ჩამოგლიჯა, დაავლო პირი და სახლისაკენ გააქანა.

ჩვენს ეზო-კარში ნადავლით დავბრუნდით. ლორის ნაჭერი შებოლილი და ისეთი მადის მომგვრელი იყო, რომ ვეღარ მოვითმინე და ჩავკბიჩე. სად იყო და სად არა, ბებია წამოგვადგა თავზე, დახედა ლორის ნაჭერს, წამოავლო ხელი და სახლში შეარბენინა. ოთახში მაგიდის გარშემო პატარები, ქალები და პაპაჩემი ისხდნენ, ჭინჭრის წვენს ინაწილებდნენ, ბებიაჩემმა მაგიდაზე დადო ლორის ნაჭერი და მკითხა, ვისია და საიდან გაჩნდა თქვენს ხელშიო; როცა სახარებაზე დავიფიცე და სიმართლე მოვუთხრე, ყველამ გულიანად იცინა, ბებიაჩემმა კი ლორის ნაჭერი ნაგვის ორმოში ჩააგდო, მერე მე თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: რა გაცდუნებდეს შენი მარჯვენა, მოიკვეთე იგი! ნაქურდალით მუცელს კი ამოიყორავ, მაგრამ სულს გაიღატაკებო. მე მაშინა ვკითხე: ბები, სული რა არის? — ჭეშმარიტი სული არის სიყვარული სიმართლისა, პატიოსნებისა, მოყვასის გატანისა, სული ჭეშმარიტი ის არის, რომ არ იქურდო, არ იმკრეხელო, მაღალი სული ღმერთის სიყვარულია, ღმერთი კი შენში უნდა არსებობდეს სულის სახიერებით... — ასე გაასრულა პაპაჩემმა ომისდროინდელი ბავშვობის მოგონება.

ლია კობალაძე

ბიჭები

ერთმანეთს უხმობენ ბიჭები,
ექო კი მიფრინავს იორღით,
ეზოდან ეზოში იჭრება:
ჰაატა!
ჰაჰუნა!
გიორგი!
ფრთებს ისხავს, ფრთებს ისხავს ბალღობა,
მიფრინავს შრომით და ნავარდით,
ლაღობენ, ბიჭები ლაღობენ —
მე ვარო და ჩემი ნაბადი!
იციან, სიკეთე რას ჰქვია,
არიან ალალად მიმნდობნი,
არც ერთი არ არის ბაქია,
ბიჭები, უბრალოდ, დიდობენ!
იციან ძმობა და გატანა,
ბონდი აქვთ იმ მთიდან ამ მთამდის,
აფასებს დიდი თუ ჰატარა
ტარიელს, ფრიდონს და ავთანდილს.
ელაშქროთ დღეები მშფოთვარე,
უთვლელი ჰქონოდეთ ასაკი,
სიკეთის, მშვიდობის მოთავეთ
— მანუჩარს
მამიას,
აკაკის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკას სურვილი

კარგი კითხვა იცის გორდამ,
კარგი წერა — ანანომ,
გაიხაროს დედიკომ და
გაიხაროს მამამო.
ქების ღირსი არის ილო, —
ლექსის თქმაში თამამობს,
ავთანდილი ავთანდილობს,
თამარი კი თამარობს.
ჰაწაწინა ლიკა ცდილობს
წეენის ცრემლი დამალოს:
— ჩანთა მაინც შემიძინონ,
მეც სკოლაში წავალო!..

მხატვარი **ლალი ლომთაძე**



მონატრება

ნოდარ კეკელიძე

მირონმა მძიმედ, უხალისოდ ააბოტა საბარგოს და პაპამისის გვერდით ჩამოჯდა. — მაშ მივალთ, პაპავ! — მალულად შეათვალიერა მოხუცის ჩამოღვენთილი სახე.

— მივდივართ და ეგ არი, შვილო! — გატეხილი ხმით მიუგო ოტია პაპამ და უკან მიტოვებულ, სტიქიისაგან გაპარტახებულ ნასოფლარს ნაღვლიანი მზერა მიადევნა, — მივდივართ და, ვინ იცის, კიდევ მეღირსება მამა-პაპის მიწაზე ფეხის დადგმა?

— შენა გგონია, აღარ დავბრუნდებით? — არ ისვენებდა მირონი.

— აბა, რაღას დაბრუნდები, შვილო. ბარში ჩვენთვის ბინები აუშენებიათ საგულდაგულოდ, ეზო-კარი მოუწყვიათ, საკარმიდამო მიწა გამოუყვიათ. არადა, როგორი დასანანია ჩვენი მთა-ველი! ან ამ დევებივით აყუდებულ კოშკებს განა შეელეოდა კაცი? ეე, ძნელია, შვილო, ძნელი. შენი კერიასთანა ტკბილი და საყვარელი ამ ქვეყნად არაფერია!

— მერე ჩვენ ხომ მარტო არ მივალთ, პაპავ! ნახე, რამდენი მანქანა მოგვდევს! აგერ ხერგიანები, ფალიანები, მუშკუდიანები, ჯაფარიძეები! თუ იმ კოშკების მიტოვება გიმძიმს და ვეღარ ელევი, როცა ძალიან მოგენატრებიან, ჩვენც ავდგეთ და მოვინახულოთ ხოლმე!

— ჰმ! — მწარედ ჩაეღიმა მოხუცს, — კარგ სიტყვას კი ამბობ, შვილო, მაგრამ განა მერეც შევძლებ ამსიშორეს ამოსვლას? დავბერდი, შვილო, მუხლები აღარ მემორჩილებიან, რა იცი, მერმის იქნებ ეზოშიც ვეღარ გამოვიდე, არამც თუ სვანეთში ვეახლო ჩვენს მამა-პაპის ნასახლარს!

მირონმა შენიშნა, როგორ აუკანკალდა ნიკაპი პაპას და როგორ მოუწყლიანდა თვალები.

კარგახანს ირახრახეს. ხან დაღმართები ჩაიარეს, ხან აღმართებზე გადავიდნენ და ბოლოს გაივაკეს... აი, ორსართულიანი, თეთრი, ერთიერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი შენობები გამოჩნდა და მანქანებიც ერთ-ერთი შენობის წინ თავმოყრილი ხალხის წინ შეჩერდა. მეწინავეს ალისფერი ალამი ეჭირა და საბარგოს მგზავრებს ღიმილით უქნევდა...

— მშვიდობა თქვენს მობრძანებას! — ენერგიულად ჩამოართვა მან ხელი მირონის მამას. — აბა, როგორ მოგწონთ აქაურობა?

— პაპავ! — მიუბრუნდა მირონი პაპას, — ხომ ხედავ, რა ლამაზი ოდა სახლებია, შენ კი გული გეთანაღრებოდა!

— ვხედავ, შვილო, ვხედავ! — თავი დაიქნია ოტია პაპამ, — ადამიანებს სიკეთე როგორ უნდა დაუკარგო, მაგრამ...

დღე დღეს მისდევდა, ღამე ღამეს და სვანებიც ნელ-ნელა შეეგუენ ახლებურ, ბარის ადათ-წესებს.მხოლოდ მირონის პაპა ოტია იყო გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი. ადგებოდა თუ არა, დაითრევდა სამფეხა სკამს, გავიდოდა სახლის უკან მზის გულზე, ჩამოჯდებოდა კედლის ძირას და ნაღვლიანი თვალებით გასცქეროდა შორს, ლურჯად მოკამკამე გულზვიად მთებს.

ერთ დღესაც, როდესაც მირონმა გაკვეთილები მოითავა და სკოლიდან შინისაკენ გამოსწია, გზად უჩვეულო აზრმა გაუელვა და მშენებლობისაკენ მოჰქუსლა. მირონის მამამ შვილი რომ დაინახა, მისკენ გამოსწია, მირონმა პაპის უგუნებობის მიზეზზე ჩამოუგდო სიტყვა.

— ვიცი! — უთხრა მამამ, — მაგრამ რა ვქნა, რა ვუშველო!

— რა ვქნათ და, რა იქნება, აგერ იქ, მოშიშვლებულ მთაზე ერთი სვანური კოშკი რო ავაშენოთ, ჰაა? მთელი სკოლა წამოვა მშენებლების დასახმარებლად.

— კარგი აზრია, შვილო, მაგრამ აბა, როდის? — თავი გაიქნია სულხანმა, — ეს შენობა ზამთრამდეა ჩასაბარებელი... მემრის კი ვნახოთ!

— მემრისამდე ვერ გასტანს პაპა! — ჩაიბუზღუნა მირონმა.

— მოიცა! — თავი მოიქექა სულხანმა, — ერთი აზრი მომივიდა, წამო, მთავარ ინჟინერს ვეტყვი, თუ დაგვყაბულდა...

მთავარმა ინჟინერმა გულდასმით მოუსმინა სულხანს. მერე მხრები აიჩეჩა და თავი გადააქნ-გადმოაქნია.

— რა ვიცი, აბა, სულხან! მე პრაქტიკაში ამგვარი რამ ჯერ არ შემხვედრია. ან ტექნიკა მოერევა კი ამოდენა ნაგებობას?

— მოერევა, შალვა! — დაბეჯითებით მიუგო სულხანმა, — კოშკს არტახებში მოვაქცევ, განივ და სიგრძივ ლატნებს დავატან, საძირკველში მოვჭრი, ამწე კრანით ავწევ და ლაფეტზე დავასვენებ! ისე ციმციმ ჩამოვიტან, კენჭიც არ გავარდება!

სულხანის ნააზრევმა იმარჯვა. იმ საღამოსვე მშენებელთა ბრიგადა სვანეთისაკენ დაიძრა. ცათ აბჯენილი კოშკი მალე საიმედოდ შებოჭეს და ფრთხილად დააწვინეს ლაფეტზე. მანქანა ტაატით დაიძრა ბარისაკენ. მესამე დღეს გვიან ღამით, სვანური კოშკი ადგილზე ჩაიტანეს და წინასწარ ამოშენებულ უზარმაზარ საძირკველზე დადგეს. შემდეგ ბეტონით ძირი გაუმაგრეს, არტახები შეხსნეს და აქა-იქ ამოგლეჯილი კედლის პირები საგულდაგულოდ შელესეს.

ერთ დილას ოტია პაპამ ჩვეულად დაითრია სამფეხა და სახლის უკან უნიათოდ გააბოტა. კედლის ძირას ჩამოჯდა და მზერა მთის კონწოხს ესროლა. უცებ თვალები გაუფართოვდა, ტუჩები აუცახცახდა. მერე წამოიმართა, და მთელი ხმით იყვირა: — მირონ, ბიჭო, მირონ!

— რა იყო, პაპავ! — შინიდან გამოვარდა მირონი და პაპას გვერდით ამოუდგა.

— აბა, ერთი, შენს გახარებას, აგერ იმ მთას გახედე, მართლა დგაას რამე თუ არა?

— დგაას მააშ! — ამაყად ჩაილაპარაკა მირონმა.

— ვიფიქრე, თვალები ხომ არ მღალატობენ-მეთქი! — თრთოლვით წარმოთქვა ოტია პაპამ და ღობისაკენ ნაბიჯი გადადგა, მერე ზედ გადაებღოტა და მთისკენ ისე გაიქცა, რომ მირონს წამოწევა გაუჭირდა. კოშკის შორიახლოს მოხუცი, თითქოს რაღაცას წაეჯახაო, შედგა. ერთხანს თვალით ზომავდა ნაგებობას, მერე მოკრძალებით მიუახლოვდა, კედლებს ხელები მოუცაცუნა, მკერდით მიეკრა და თავი მიადო. ღაწვებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სიხარულის ცრემლები...

მხატვარი **ვაჟა ქურხული**

გამარჯობა თქვენი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯობა თქვენი, ახლად მომავალნო! მე, უკვე მიმავალი, გეთხოვებით და ვსწუხვარ, რომ საგულისხმო ანდერძად ვერას გიტოვებთ, გარდა მარტო ხვეწნა-ვედრებისა: გიყვარდეთ თქვენი სამშობლო... თქვენი ერი, როგორც პირველი საფეხური კაცობრიობის მისწრაფებისა, რადგანაც სიყვარულშია ადამიანის ბედნიერება!.. მაგრამ მისთანა სიყვარულში კი, რომელსაც სარჩულად სიმართლე და გულწრფელობა უძევს. უამისოდ ყოველგვარი შრომა ამაოა...

აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელი

აღსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს,
მტრები გეხვევა გარსაო,
რბილად გითხრიან სამარეს,
ტკბილად გიმღერენ ზარსაო.

და შენ კი გძინავს! — ვერ ჰხედავ
ტკბილად ბანგ-შენასვამიო,
ვეღარც გულს ხმარობ, ვეღარც სულს,
ლეში გამხდარხარ, გვამიო.

მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხ,
მას ვანაცვალებ ყველასო,
სანამდის ვხედავ შორიდან
იმედის ცისარტყელასო.

გამოიღვიძებს ისევე
ფხიზლადა, ძველებურადო,
და მეც ჩემს ჩანგურს ჩამოვჰკრავ,
დავმღერებ ჩემებურადო.

აღსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს,
გამოახილე თვალიო,
შეისისხლხორცეთ, რაც გაკლდესთ,
მოგელისთ მომავალიო!

მხატვარი ბორგი რობინოვილი

სვეშრად ბაქოში

ზალვა მარკოზაშვილი

1908 წელს საქართველოში ზეიმით აღინიშნა აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. იმავე წელს პოეტი მიიწვიეს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში. საიუბილეო დღესასწაულს ხელმძღვანელობდა ბაქოს ქართველი საზოგადოების გამგეობა, აზერბაიჯანელების მხრივ ორგანიზატორი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე მეშდი აზიზბეკოვი.

ბაქოში გამართულ საიუბილეო საღამოზე აკაკის მიესალმნენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები. დამსწრე საზოგადოების აღტაცება გამოიწვია უკრაინელი ახალგაზრდა ქალის გამოსვლამ — მან აკაკის საჩუქრად გადასცა თავიანთი ეროვნული სიამაყის — დიდი პოეტის ტარას შევჩენკოს პორტრეტი.

როცა აკაკიმ გულთან მიიტანა სამახსოვრო საჩუქარი, იქუხა ტაშმა. ხმაური რომ მიწყნარდა, აკაკიმ სიამოვნებით გაიხსენა შეხვედრა შევჩენკოსთან პეტერბურგში, შემდეგ კი ისაუბრა სხვადასხვა ერის ხალხთა მეგობრობის მნიშვნელობაზე.

მეორე დღეს აკაკიმ აზერბაიჯანელ და ქართველ მასპინძლებთან ერთად ქალაქის განაპირას, ბალახანაში, მუშათა უბანი დაათვალიერა. იქ იმ დროს ბევრი ქართველი მუშაობდა და პოეტი დაინტერესდა მათი საყოფაცხოვრებო პირობებით, ბავშვების სწავლა-განათლებით... თანმხლებმა, ნინო ხერხეულიძემ, რომელიც ნავთის მრეწველის, ნიკოლოზ დეკანოზიშვილის მეუღლე იყო, პოეტს მოკრძალებით მოახსენა: ჩემს სახლში გახსნილი მაქვს შინაური სკოლა ქართველი ბავშვებისათვის, სწავლა უფასოა და მოსწავლეთა რაოდენობა თანდათან იზრდებაო.

აკაკის ესიამოვნა, ქალბატონ ნინოს ხელზე ეამბორა, მერე კი განაცხადა: აქ იმდენი ქართველი ბავშვი ყოფილა, მათთვის მარტო შინაური სკოლა კი არა, მთავრობის დამტკიცებული, ნაკურთხი სასწავლებელი უნდა იყოს და ამ საკითხის შესახებ, თბილისში რომ დავბრუნდები, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მოვთათბირებიო.

შემთხვევით პოეტს აქეთ-იქით ამოუდგა ათი-თორმეტი წლის ორი შავგვრემანი ბიჭი. აკაკიმ ორივეს ალერსიანად გადაუსვა ხელი და მათი ვინაობა იკითხა. გამოირკვა, რომ ერთი სომეხი იყო, მეორე — აზერბაიჯანელი.

— აბა, ჩემთან ახლა ქართველიც მოვიდესო, — თქვა აკაკიმ და გადაავლო თვალი იქვე შეკრებილ ბავშვებს; ერთმა ლამაზმა, ცისფერთვალება გოგონამ თავის თანატოლ ბიჭებს დაასწრო, აკაკის წინ ღიმილით გაჩერდა და, — აი, ქართველიც მოვედიო — ქართულად, მოკრძალებით უთხრა აკაკის.

პოეტმა სამივე ბავშვს ხელი მოხვია, სიყვარულით მიეხმატკბილა, მერე თავი მაღლა ასწია და რუსულ ენაზე ყველას გასაგონად განაცხადა: კავკასიელ და-ძმებს გაუმარჯოს! მე მახარებს, რომ აქ, აზერბაიჯანელების დედაქალაქში, სხვადასხვა ერის შვილებს მეგობრულ ურთიერთობაში გხედავთ, და გულწრფელად მოგიწოდებთ, განამტკიცოთ ძმური კავშირი, რაც ჩვენი ძლიერების წყარო იქნებაო...

— ხალხთა ძმობის მომღერალ პოეტს გაუმარჯოს! — რიხიანად დაიძახა ვიღაცამ და იქუხა ტაშმა.

მხატვარი **ედუარდ ამბოკაძე**

ბეჟან სვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გამოგვძახის შემოდგომა ტყიდან

მხატვარი **მანანა მორგილაძე**

გაიძახის შინდი:
— ფრინდით,
ფრინდით,
ფრინდით,
აქეთ გადმოფრინდით,
ვისაც გინდათ შინდი,
დამკრახული მზითა,
მოდით, მობრძანდითა!

გაიძახის მუხა:
— მოდით,
მოდით,
მოდით,
ჩემს მეგობრებს ყველას
გიმასპინძლებთ რკოთი!

აქ ეოველი ტოტი
მწიფე ნაყოფითა
— მოდით,
მოდით,
მოდით, —
გვიხმობს ყველა ხიდან!
ვისაც წაბლი გინდათ,
ვისაც ზღმარტლი გინდათ,
ვისაც კენკრა გინდათ...
აქეთ,
აქეთ,
აქეთ,
აქეთ მობრძანდითა...

ასე გამოგვძახის შემოდგომა ტყიდან!

ჩიორას სამოთხე

ტყეში საკენკს რა გამოლევს,
ტყე თუ ტყეს ჰგავს, ტყე თუ ტყეობს.
ხილით, კენკრით იხუნძლება
ყველა ბუჩქი, ყველა ხეო.
ბუდისთვისაც ბევრგან არის
ტყის კუნჭული და კუთხეო,
სადაც მშვიდად ჩეკავს ბარტყებს,
სძინავს ღამე, ლაღობს დღეო...
ჰოდა, ტყეა, კარგი ტყეა
ჩიორასთვის სამოთხეო!

გორგომიჭელა

ნინო ბეზარაშვილი

ბებიას ტახტზე მოუკეცია, წინ დამტვრეული კაკლით სავსე გობი უდგას და არჩევს; ლებანს ცალკე აგროვებს თიხის ჯამფილაში, ნაჭუჭს ცალკე ყრის. გვერდით პატარა ავთო უზის, ისიც კაკალს არჩევს, ბებიას შველის, თავი ჩაუღუნია და ბუნჩულა თითებით ნელ-ნელა გამოაქვს ნაჭუჭიდან ლებნები.

როცა დარჩევას მორჩნენ, ბიჭი სათამაშოდ გაიქცა, ბებიამ კი ნიგვზით თავმობმული ჯამფილა მაგიდაზე წამოცალა, ხელისგულით თანაბრად გადაშალა, რომ კარგად გამშრალიყო.

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე და, ერთხელ ბებიამ თამაშობაში გართულ ავთოს დაუძახა: „ცოტა ხანს მოდი ჩემთანო“. ბიჭმა მაშინვე მიირბინა. ბებიამ მომსხო ძაფის ერთი წვერი ავთოს საგვირგვინეზე დაადო, ჩაიტანა ძაფი, ჩაიტანა და ფეხის ქუსლებამდე რომ მივიდა, იქ მოწყვიტა. მერე ძაფი ნემსზე ააბნია და ბოლო გამოუნასკვა.

ბიჭი გაოცებული უყურებს, ნეტავ რას აკეთებსო. ბებიამ არ დააგვიანა, მალე გაანდო შვილიშვილს „საიდუმლო“, „შენ რომ კაკლის დარჩევა მიშველე, მე კიდევ ერთი კარგი, შენსიგრძე გორგომიჭელა უნდა აგიგო და თათარაში გაგივლოო“.

ბებიამ მაშინვე დაიწყო ნიგვზის აბნევა, სულ მთელ-მთელ ლებნებს აბნევდა, გაჭრილი და ნატეხი ერთიც არ გააკარა. როცა მთლად ააბნია, ახლა სათაური ჩააბა და საჩეხის სვეტზე მიჰკიდა.

ბიჭს ძალიან მოეწონა მძივივით ასხმული გორგომიჭელა, წამდაუწუმ მიირბენდა ხოლმე სვეტთან, ხან შორიდან უყურებდა, ხან ახლოდან, თან ბებიას ეკითხებოდა:

— ბებო, როდის უნდა გავაკეთოთ თათარა?

— მალე, შვილო, მალეო, — ჰპირდებოდა ბებია.

მართლაც დიდი ხანი არ გასულა, რომ ერთ დილას ეზოში ვეება ზედადგარი დადგეს, ზედ თუნუქის ნაჭერი დაადეს, წყალში დაჭაპჭაპებული ნაცარი დააყარეს და ფქვილმოკიდებული ტკბილით სავსე სპილენძის ქვაბი შემოდგეს.

ურევენ და ურევენ ხის დიდი კოვზით. ერთი წუთითაც კი არ აჩერებენ კოვზს. მალე მოწითალო მურკლები გამოჩნდა ქვაბში, ტკბილმაც შესქელება დაიწყო. ეხლა მარტო მორევა რას უშველიდა,



მხატვარი **ვაჟა ქურხული**

კარგი მაგარი დაზელვა უნდოდა. დამზელებიც იქ იყვნენ — ღონიერი კაცები თუ ქალები, ზოგი აქაური, ზოგიც ქალაქიდან მანქანით სტუმრად ჩამოსული. რაც შეეძლოთ, უბაგუნებდნენ ხის კოვზს ქვაბის კედლებს, ცდილობდნენ თათარაში შერეული მურკლები დაეშალათ, თორემ ჩურჩხელას ამოჰყვებოდა და დააუშნოებდა...

დაზილეს თათარა, ადუღეს, დააწითლეს და ახლა ჩურჩხელების გავლებას შეუდგნენ. ბებია თათარის ქვაბთან ჩადგმულ პატარა სკამზე ჩამოჯდა, კალთაში თხილისა და ნიგვზის ჩურჩხელები ჩაიწყო, სათითაოდ იღებდა, ნელა, ფრთხილად ავლებდა, ჩურჩხელას სიგრძეზე თათარის ნაწიბური ან მურკლი არ ამოჰყვესო.

ქვაბთან გოგო-ბიჭები მიხროვილიყვნენ, ბებიას ამოვლებულ ჩურჩხელებს ართმევდნენ, ბოლოში თითს უშვერდნენ და ჩამოვარდნილ თათარის გემრიელ კიმპალს პირისკენ მიაქანებდნენ.

— გორგომიჭელა მომიტანეთ, ქა, გავავლოთ, სანამ თათარა ბევრია! — თქვა ბებიამ.

გოგო-ბიჭები შეცვივდნენ საჩეხში, ჩამოიღეს სვეტიდან გორგომიჭელა და მოიტანეს. ბებიამ მისი ბოლო ქვაბში ჩადო, ზედ კოვზი დააჭირა, მიჰყვა, მიჰყვა და მთლად თათარაში ჩამალა. კისერწაგრძელებული გოგო-ბიჭები ლამის ქვაბში ჩამძვრალიყვნენ, თვალს არ აშორებდნენ ბებიას მზემოკიდებულ ხელებს, ერთი როგორ ამოავლებსო.

ბებიამ კოვზით ზემოდან მიუსწორ-მოუსწორა გორგომიჭელას თათარა, მერე სათაურით ამოსწია, მაღლა ამოიტანა. ისე ლამაზად გაავლო, ერთი პატარა მურკლიც არ ამოჰყოლია, ნაწიბური ხომ არა ჰქონდა და არა ჰქონდა.

წაიღეს გორგომიჭელა და ხარიხაზე ჩამოჰკიდეს.

— ბიჭო, ერთიბეწო ხარ და ამოდენა გორგომიჭელა კი აუბნევიათ შენთვის. მარტო როგორ უნდა შეჭამო, კაცო, სულ რომ ცოტა, ოთხი-ხუთი ჩურჩხელა მაინც გამოიჭრება აქედან. — ეუბნებოდნენ ავთოს ბავშვები.

— თუ ძალიან გინდათ, თოვლს რომ ჩამოყრის, მოდით ჩემთან და თქვენც მოგიტეხავთ! — ჰპირდებოდა ტოლებს ავთო.

— თოვლი იქნება სულ არ მოვიდეს!..

— ახალი წელიწადი ხომ მოვა, მაშინ მოდით, დედა არ მომიკვდეს, მოგიტეხავთ!

— მოვალთ, მოვალთ, უსათუოდ მოვალთ! — აჟივჟივდნენ ბავშვები. გორგომიჭელა კი ეკიდა ხარიხაზე ჩუმად, ენკენისთვის თბილ მზეში შრებოდა და თან ოცნებობდა, როდის ჩაადნებოდა იმ პატარა გოგო-ბიჭებს ლამაზ ტუჩებში.

ტარიელ ჭანტურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედიდური

იბღინძები უკვე,
რაკი დიდი გახდი,
აღარ გეკადრება,
გვეთამაშო ლახტი!
თანაც, დიდი რომ ხარ,
ეველაფერი გაგდის!
არ კადრულობ სიტყვას,
რაკი დიდი გახდი!
თუ ხალათი მოგწონს,
ადგები და გახდი!
სხვანაირი იყავ,
სხვანაირი გახდი!
ლეკვმა შეგიყეფა,
შენ კი გვერდზე გახტი!
მშიშარა ხარ ისევ,
თუმცა დიდი გახდი!
კაცის კარგ მოქცევას
ჰქვია თურმე ტაქტი!
არ გივარგა ტაქტი,
თუმცა დიდი გახდი!
მოდი ისევ ჩვენთან,
გვეთამაშე ლახტი:
შენც ჩვენსავით ახტი,
შენც სხვებივით დახტი!

სათვალე

უპირველეს ეოვლისა:
ვინც დასცინის სათვალეს,
ეველა, ჩემო ხათუნა,
უსინდისოდ ჩათვალე!
ვინც დასცინის სათვალეს,
სათვალიანს აწვალებს,
სიბერემდე აცალე —
დაიკოსებს სათვალეს!

მხატვარი მანანა მორჩილაძე

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა ჩვენს საყვარელ პოეტს ზურაბ კუხიანიძეს.

ჟურნალი „დილა“ თავის ნორჩ მკითხველებთან ერთად ულოცავს ამ ძვირფას თარიღს იუბილარ პოეტს.

თაგვების გამყიდველი

ზურაბ კუხიანიძე



ილუსტრაციები ალექსანდრ ალექსაძე

მათე ბიჭმა,
ა, იმ კვირას,
შიშისაგან გათანგული
ორი თაგვი დაიჭირა
დაჟანგული სათაგურით.
— თქვენს გამოა,
სახვალიოდ
აღარ შეგვრჩა კაკალიო...
ხომ გაებით?
აწი, ვერა,
ვერ გიშველით კანკალიო.
მერე ჯოხზე გამობმულ
მოსხმარტალე კუდებით
მხარზე გადაიკიდა
მათემ კაკლის ქურდები.
შემოერტყნენ ბავშვები:
— საით მიგაქვს აკიდო?

მათემ:
— საით მიმაქვსო? —
ბაზრად უნდა გავეიდო!
— რას ამბობ,
ხომ არ გაგიჟდი?! —
ბავშვებს აუტეხათ ხითხითი.
— იცინეთ, თაგვებს გავეიდი,
ახალ სათაგურს ვიეიდი.
და ბაზარში მათეს ხმა
ისმის ეურისწამღები:
— აბა, კაი თაგვები!
— აბა, კაი თაგვები!
გაფხორილი ინდაური
გადაბრუნდა სიცილით:
— ან ხარ ჭკუამხიარული
ანდა საქმემიცლილი.
იქით იხვი ფრთაგაშლილი

ვახვახებდა: — ვახმეო!
თაგვებს ეიდდნენ ბაზარში,
დღეს ჰირველად ვნახეო.
აქ ქათამი აკრიახდა:
— ალბათ, გადავირევიო,
ვინ იქნება, კატის გარდა,
მაგ თაგვების მეიდველიო.
ხსენება და ერთის ნაცვლად
ორი კატა გაჩნდა სწრაფად:
— როგორ ეიდი მაგ წრუწუნებს,
ჰკითხეს, — ძვირად თუ იაფად?
— თუ იკითხეთ, მენდეთ, აუ!
თაგვებია სანაქებო.
თითო მანეთს თითო შაურს
არაფრით არ დავაკლებო.
აიფხორნენ კატები:
— სადაური ბრძანდებით?
თაგვის ფასი თუ არ ვიცით,
წეალში გადავვარდებით.
„მიაუ!“ — ერთად დაიჭეავლეს,
ემაგ ფასად შენვე გეავდეს.
შენგან გვიკვირს, რომ ბაზარში
ვაჭარივით იქცევიო,
ისე გკითხეთ, თორემ თაგვში
გროშის არ ვართ მიმცემიო.
კატის ხმა რომ გაიგონეს,
გადირივნენ წრუწუნები.
შეხტნენ მათეს მხარზე სიმწრის
ოფლით მთლად გაწუწულები.
იქით-აქეთ, ფართიფურთით
გაიქაჩნენ თაგუნები
და ერთმანეთს მოსწედნენ, კუდით
მაგრად გადანასკვულები...

აქ ამბავი მთავრდება,
გზას გაუეა მათე შინ,
თაგუნები კატებმა
მუქთად იგდეს თათებში.

ტელევიზორთან

მზია ჩხეტიანი

ერეკლეული ბიბლიოთეკა

ჩუმად! — დუმან ბიჭები, —
ჩუმად, ჩუმად, ჩუმად!
ვის ელიან ჰაწიები? —
ვის და — კეთილ სტუმარს.
გავჩუმდებით, გავჩუმდებით,
აღმოხდება მთვარე;
ბუზღუნებენ დათუჩები,
— ჩართონ ფირი მალე!
მოლოდინში გართულია
შეხეთ, ციეეიც ციდა!
ვინ გვეწვევა, დათუნია,
დღეს ზღაპრების მხრიდან?
ვის ელიან? —
მზის ფერიას,
მზის რაშს,
ჰაჰას კეთილს...
— ეველა მხარეს გვირჩევნია
ზღაპარ-არაკეთი!

მხატვარი **ლალი ლომთაძე**



კომბოსტო

კომბოსტოც მეტად გასახელებული მცენარეა, მის მოდგმაში, გვარში, ასამდე სახეობას ითვლიან. კომბოსტოს სამშობლოდ აღიარებულია ჩინეთი და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები. აქ დღესაც ბევრგან გვხვდება მისი ველური სახეობანი: მიწისმხალა, რაფსი, თალგამი, შალგი და სხვა. კულტურული კომბოსტო კი დედამიწის თითქმის ყველა მხარეში მოჰყავთ. ჩვენს ქვეყანაში ბოსტნეული ნათესების 30% კომბოსტოს უჭირავს.

სამხრეთის თბილ ქვეყნებში შედარებით ადვილია კომბოსტოს მოყვანა. მთავარია ჩითილის დროზე დარგვა, გამარგვლა, გათოხნა, მორწყვა, მაგრამ არის ადგილები, სადაც კომბოსტო ძალიან თვითნებობს. ზოგი კომბოსტო დიდ თავს იკეთებს, მაგრამ ის თავი ფუყეა, ადამიანის საკვებად უმაქნისი, ზოგი კომბოსტო სულაც არ იკეთებს თავს, მთლიანად ფოთლებად არის ქცეული, ზოგი კიდევ ყლორტებად არის ასული. ჯიშზე და ადგილზეცაა დამოკიდებული კომბოსტოს მოყვანა — ზოგან ძალიან ნესტია, ზოგან — სიმშრალე, ზოგან ქარები. ამიტომ მოსავალიც სხვადასხვანაირია.

დიდ ინგლისელ ბიოლოგს ჩარლზ დარვინს კომბოსტოს ერთი ყვავილოვანი ჯიში ლა-მანშის სრუტეში მდებარე პატარა კუნძულ ჯერსიზე ენახა. წამოიღო იქიდან ჩითილები და თავის ეზოში დარგა.

კომბოსტოები სწრაფად გაიზარდნენ, ასაყვავებლად რომ ემზადებოდნენ, ისეთი ყლორტები წაიღეს ცისკენ, ტყეს დაამსგავსეს ბიოლოგის ეზო. ზოგი ყლორტი ხუთ მეტრზე და მეტზეც კი იყო ასული. იქ, კენწეროზე, კაჭკაჭებმა გაიკეთეს ბუდეები.

ეს ამბავი ძალიან გახმაურდა. ჟურნალმა „მებაღეობის ქრონიკებმა“ სტატია დაბეჭდა: „შეშები კომბოსტოდან“. მაგრამ ხალხს მაინც და მაინც დიდად არ გაჰკვირვებია, რადგან თურმე, დარვინამდე იყენებდნენ კომბოსტოს ყლორტებს ლატნებად, ჭიგოებად და სხვა.

კომბოსტო დღეს დიდად გავრცელებული საბაზრო კულტურაა. ადამიანები მას მიირთმევენ ნედლად, მოთუშულს, შემწვარს. ამარილებენ, ამწნილებენ, აკონსერვებენ და დიდი ხნით ინახავენ. კომბოსტო ბევრ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს. აქვს გამორჩეული დიეტური და სამკურნალო თვისებები.

დიდი მოსავალი იცის კარგად მოვლილმა კომბოსტომ. ერთ ჰექტარზე 900 ცენტნერიც კი აუღიათ, ზოგი თავი ისეთი დიდია და მკვრივი, მანდილოსნებს უჭირთ მისი აწევა.

დიდი ხანია, რაც კომბოსტო ჩვენში, საქართველოშიც, მოჰყავთ. არსებობს ადგილობრივი ჯიშებიც: ხარისთვალა, ხარისგულა, ღანირული, მესხური ბერბუკულა, კეჟერა და სხვა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეის გასეხი

ᲨᲝᲗᲐ ᲮᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲩᲘᲚᲘᲜ-ᲩᲘᲚᲘᲜ-ᲩᲘᲚᲘᲜᲘᲗ,
ᲢᲣᲩᲖᲔ ᲩᲘᲛᲘᲚ-ᲩᲘᲛᲘᲚᲘᲗ,
ᲩᲕᲘᲜᲘᲗ, ᲚᲔᲩᲕᲘᲗ, ᲩᲕᲔᲖᲔᲚᲘᲗ
ᲡᲣᲤᲠᲘᲡ ᲒᲐᲨᲚᲐ ᲨᲔᲡᲫᲔᲚᲘᲗ.
ᲩᲠᲘᲭᲝᲔᲑᲨᲘ ᲘᲩᲕᲠᲔᲑᲐ
ᲩᲐᲠᲢᲐᲤᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲕᲐᲠᲘᲐ.
ᲩᲐᲠᲘ ᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲩᲣᲦᲣᲜᲘᲗ,
ᲩᲔᲚᲔᲡ ᲒᲐᲣᲮᲐᲠᲘᲐ.
ᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲕᲠᲘ — ᲩᲘᲩᲘᲜᲔᲑᲡ
ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲡ.

ᲤᲘᲥᲠᲘᲐ ᲥᲐᲩᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲛᲝᲪᲘᲥᲠᲔᲗ

ავიღოთ ასანთის 24 ღერი. დავაწყოთ კვადრატულად სამ-სამი ღერი, ისე, რომ ოთხივე მხარეს იყოს ცხრა-ცხრა.

აი ასე: III III III

III III

III III III

დავამატოთ 8 ღერი და დავაწყოთ ისე, რომ კვლავ ოთხივე მხარეს გამოვიდეს ცხრა-ცხრა. შემდეგ დავაკლოთ 12 ღერი და დავაწყოთ ისე, რომ ოთხივე მხარეს კვლავ იქნეს ცხრა-ცხრა.

ᲓᲘᲚᲐ

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა გაგუა, სესილ გოგიბერიძე, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, თენგიზ ჩალაური (პ/მგ.მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჯიჯინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყობად 29.06.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.09.90 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 141.500, შეკვეთა № 1465

ყდაზე ნახატი
ედუარდ ამბოკაძისა

«Дила» («Утро») Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии. Главный редактор Реваз Инанишвили (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Коставы, 14. Объём 2,5 печатных листа, тираж 141.500. Заказ №1465

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76055
667/123
ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი **ბესიკ ზუბაშვილი**



რომელმა ავტომანქანამ გაიარა ხიდზე?